„ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ“

აქ კიბის ქვეშ მგელი გვყავდა დაბმული...

ტელეჟურნალისტ ნანა ჯაფარიძის არაჟურნალისტური ხელობის შესახებ მხოლოდ მისმა ახლობლებმა იციან. ქალბატონ ნანას საკუთარი სახლის ეზოში „ედემის ბაღი“ გაუშენებია და შადრევანისთვის აუზიც კი საკუთარი ხელით გაუკეთებია.

— *ასეთი წალკოტის პატრონს ცხოველებიც გეყვარებათ.*

— არა, რას ამბობთ, ვერ ვიტან, თუმცა, სანამ ჩემი ვაჟი ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, აქაურობა ზოოპარკს ჰგავდა. კიბის ქვეშ მგელიც კი გვყავდა დაბმული. ვაკუნას მისი მოთვინიერება უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სანამ ბებია არ დაუკბინა, მანამ არ მოაშორა აქაურობას. მერე აიხირა, წითელ წიგნში შეტანილი ტრიტონები უნდა მოვამრავლოო და მართლაც პატარა ნანგებით აავსო სახლი. ისე მეშინოდა, რომ ძილის წინ ლოგინს საგულდაგულოდ ვსინჯავდი და კარჩაკეტილში ვიძინებდი.

— *თქვენ პირველი გამოჩნდით ეკრანზე მოკლე კაბით. რაც ალბათ „კონსერვატორი“ მაყურებლის ვნებათაღელვის მიზეზადაც იქცა.*

— არა მარტო მოკლე კაბით, არამედ შარვლითაც პირველი გამოვჩნდი ეკრანზე. როცა სტუდიაში შარვლით გამოვცხადდი, რეჟისორიც და ტელედეპარტამენტის ხელმძღვანელიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩემს „გამოხტომას“ ყველანი ერთად შევეწირებოდით, მაგრამ გადავრჩით. შარვალი ყველამ რომ ჩაიცვა, მე გავიხადე და მოკლე კაბით გამოვჩნდი ეკრანზე. მერე მართლა დაიწყო ვნებათაღელვა.

— *ტელევიზიაში ბევრი გირეკავდათ და გლანძღავდათ?*

— ახლაც რეკავს ერთი ქალი, უკვე ფეხები აღარ მიჩანს, მაგრამ მაინც ილანძღება — რას გადმოუყრია ნანა ჯაფარიძეს ფეხებიო...

— *ჭორად გავიგე, რომ „ლატარია ყველასათვის“ დამაარსებელი თქვენ ყოფილხართ.*

— ჭორი კი არა, სიმართლეა, მაგრამ დაბეგვრის გართულებული კანონის გამო, 7-8 თვეა დავხურეთ. ვიღაცას ამ ბიზნესში ქართველებისათვის ხელფეხის შეკვრა სურს, რომ მერე იოლად შემოიყვანოს უცხოელი და ლატარიის ბიზნესში გაკეთებული ფულის დიდი ნაწილი ჯიბეში ჩაიდოს და ნაწილიც უცხოეთში გაუშვას. მე მარტო კვირაში 8000 ლარი შემქონდა სახელმწიფოს ბიუჯეტში და გულსატკენია, რომ ქვეყანა ზარალდება ვიღაცების ინტერესების გამო.

— *ცოტა მხიარული ამბებიც გავიხსენოთ. ის როგორ იყო, მამუკა არეშიძე რომ კატების დასამშვიდებლად გაუშვით?*

— მე და მამუკას პირდაპირ ეთერში სტუმრად გვყავდა ცხონებული ლაშა კიკალეიშვილი. კომკავშირის ბოლო ამოსუნთქვაზე ვსაუბრობდით. გადაცემის მსვლელობისას სტუდიაში კატების საშინელი ჩხავილი ისმოდა. უხერხულობისგან ვიბნეოდი. მამუკას ხმამაღლა ვთხოვე, იქნებ გახვიდე და კატები გააჩერო-მეთქი. ისიც ადგა და გავიდა. სიბნელეში რაღაცას გამოედო, წააქცია, თვითონ სადღაც ჩავარდა. მე და ლაშას რკინის გისოსები კინაღამ თავზე დაგვეცა, მაყურებელმა საოცრება იხილა ეკრანზე, კატები მაინც არ გაჩუმდნენ. მამუკა, როგორც იქნა, გამოძვრა საიდანღაც და მეც უხერხულობის გასაფანტავად ვთქვი — აი, ასე ინგრევა კომკავშირი-მეთქი. მერე რეჟისორმა მუსიკა გაუშვა ეთერში.

— *ერთხელ მგონი, პირდაპირ ეთერში სიცილის ბაცილაც შეგეყარათ...*

— მე, მამუკა და გიორგი ლეონიძე ერთად ვიყავით ეთერში. სიუჟეტის მაგივრად, რეჟისორმა სიმღერა გაუშვა. ზანგი მღეროდა. რომ დამთავრდა, გიორგიმ ძალიან კომიკურად ხმამაღლა იკითხა: „ნეტა, ეს შავი კაცი ვინ იყოო“. აგვიტყდა ისტერიკული სიცილი. როგორც კი სულს მოვიბრუნებდით და ეთერში გავიდოდით, თავიდან ვიწყებდით ხარხარს... მოკლედ, რეჟისორიც დავტანჯეთ და მაყურებელიც.

— *მინდა გავიხსენო თქვენი ერთ-ერთი სტუმარი თემურ ბაბლუანი, რომელიც ჟურნალისტთან და თანაც ეკრანზე ალაპარაკებული, პირველად ვნახე. როგორ მოახერხეთ?*

— ხუმრობთ? საათ-ნახევარი თემურ ბაბლუანის პასუხები შემოიფარგლებოდა დიახ ან არათი. გადაცემაში თავს ეულად ვგრძნობდი...

ეკა ლომიძე

დასვენება ოჯახით შავ ზღვაზე

რეალურ
ფასად
(ურეკი,
ყოფილი მე-4
სამმართველო,
ადგილები
შეზღუდულია)

ტელ: 99-96-31
93-50-94

ორშაბათი 30 ივლისი

სამშაბათი 31 ივლისი

ოთხშაბათი 1 აგვისტო

ხუთშაბათი 2 აგვისტო

პარასკევი 3 აგვისტო

შაბათი 4 აგვისტო

კვირა 5 აგვისტო

ფრთხილად!

რეკლამას ზოგჯერ შეუძლია
გაყიდვინოთ ისის, რას თქვენ

რეკლამა ... 33-78-07

ირმა ნიორაძის დისშვილი — თვითნასწავლი ბალერინა

ბალეტის გარეშე არ შემიძლია...

სამშობლოსგან შორს მყოფი ბალეტის ვარსკვლავი, ირმა ნიორაძე, წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთში. იგი უკვე პატარა ვაჟკაცის დედაცაა, რომელსაც სულ მალე პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოიყვანენ მოსანათლად. ქა ბრწყინვალე რიტუალი ძალზე სასიამოვნო და მნიშვნელოვან მოვლენას დაემთხვა, რის შესახებაც ბალერინას ოჯახის წევრები, ჯერჯერობით, ხმამაღლა არ საუბრობენ. ნათლობა იმითაც იქნება საინტერესო, რომ მსოფლიო ბალეტის ორი ვარსკვლავი დღე ბული ქართველი ქალბატონები, ნინო ანანიაშვილი და ირმა ნიორაძე, დანათესავდებიან: ნინო ირმას ვაჟიშვილს მონათლავს. ამ საინტერესო ამბის აღსრულებამდე, ყურადღებას შევაჩერებთ ნიორაძეების ოჯახის კიდევ ერთ წარმომადგენელზე, ირმას დისშვილზე, 10 წლის მარიამ უგრეხელიძეზე. მარიამი ახლახან წარმატებით ჩაირიცხა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში. იგი თვითნასწავლი ბალერინაა, თუმცა ამის შესახებ, სჯობს, თვითონ გვიამბოს:

— **მარიამ, როდის შედგა შენი დებიუტი სცენაზე?**

— ალბათ, 3 წლის რომ ვიყავი, ირმა დეიდას რეპეტიციის შემდეგ ქალბატონი რუსა წერეთელი მეხუმრა, — მარიამ, ხომ არ გვიცეკვებო. მე კი მართალი მეგონა და ვუპასუხე: სიამოვნებით შეგისრულებთ სენსანსის „მომაკვდავ გედს“-მეთქი. დედაჩემის 38 ზომის პუანტებითა და უზარმაზარი „პაჩკით“ ვიცეკვე „მომაკვდავი გედი“. დედა ყოველთვის მაცნობდა ბალეტის კომპოზიტორებს. დღემდე ის არის ჩემი მასწავლებელი, მაქვს ვიდეოკასეტები, სადაც ირმა დეიდას და სხვა ცნობილ ვარსკვლავთა ცეკვებია ჩაწერილი.

— **„მომაკვდავი გედი“, განსაკუთრებით,' ვისი შესრულებით მოგწონს?**

— ეთერ ჭაბუკიანის „მომაკვდავი გედი“ საოცრებაა! ამ ქალს ულამაზესი ხელები ჰქონდა, როცა კასეტა პირველად ვნახე, გავოცდი, მთელი ღამე არ მძინია... თავიდან ვახვევდი კადრებს და ვცეკვავდი. თვალწინ მედგა ულამაზესი მოფარფატე ხელები და „გედის სიკვდილის“ შემდეგ სცენაზე დაფერფლილი ეთერ ჭაბუკიანი, რომელმაც ისე მოაჯადოვა მაყურებელი, რომ კარგა ხანს ტაშიც კი ვერ დაუკრა!

— **ახლახან, ოპერის თეატრში, საბალეტო სტუდიის კონცერტზე გამოსვლისას, ალბათ, ეთერ ჭაბუკიანის გარდა, არავინ გახსოვდა.**

— პირველად ვიცეკვე ფართო საზოგადოებრიობის წინაშე, ძალიან მეშინოდა, ვღელავდი, ვლოცულობდი. ღმერთს დახმარებას ლოცვით შევევედრე, ვთხოვდი... და დამეხმარა კიდეც. ყველა მილოცავდა...

— **შენზე მითხრეს, წარმატებით გამოსულხარ პეტერბურგის სამეფო თეატრის სცენაზეც.**

— არა. ხუმრობთ ალბათ, როცა წარმატებაზე მესაუბრებით. ეს იყო ორი წლის წინ, პეტერბურგში ვიყავი ირმა და მზია დეიდასთან. მზია დეიდა საოპერო მომღერალია. პეტერბურგში მარინის თეატრში მოღვაწეობს. იმ პერიოდში „თეთრი ღამეების“ ფესტივალი იყო, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იყვნენ მოწვეული ვარსკვლავები, მათ შორის, ლექსო თორაძეც. მზია დეიდას ერმიტაჟის სამეფო თეატრის სცენაზე „სომნამბულაში“ უნდა ემღერა, სადაც ერთ სცენაში პატარა ბავშვებიც მონაწილეობენ. არდადეგები იდგა და ის ბავშვები ქალაქში არ იმყოფებოდნენ. ამიტომ მზია დეიდამ სპექტაკლის რეჟისორს, კონსტანტინ პლუჟნიკოვს, ჩემი სცენაზე გამოყვანის ნებართვა სთხოვა. ისიც დათანხმდა. მარტივი სცენა იყო და არ გამჭირვებია. ამ მოვლენაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, გამიმართლა და ბევრი ხელოვანისთვის საოცნებო თეატრის სცენაზე 8 წლისამ შევდგი ფეხი.

— **ალბათ ყველა ხელს გიწყობს, რომ შენგან ირმა ნიორაძის ნამდვილი მემკვიდრე დადგეს.**

— სხვათა შორის, ირმა დეიდა, ნინო ანანიაშვილის მეუღლე და კიდევ სხვებიც დღემდე ჩემი ბალერინობის წინააღმდეგნი არიან! ყველა მეუბნებოდა — ნახე, როგორ ტკივა ფეხები ირმას და ნინოს, გინდა, ასეთი მძიმე დატვირთვით იცხოვროო? ისე, ეს ტკივილი მეც კი გამოვცადე პირველი ცეკვის შემდეგ, მაგრამ, რა ვქნა, ბალეტის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია...

ეკა ლომიძე

ნატალია გუნდარევა რეანიმაციაშია

კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი ნატალია გუნდარევა ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება სკლიფოსოვსკის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. იგი მძიმე ინსულტის დიაგნოზით ჯერ კიდევ 18 ივლისს შეიყვანეს რეანიმაციაში. რატომღაც ექიმებიც და ახლობლებიც ცდილობდნენ ყველაფერი ყველასგან დაემალათ, ის კი არა, კომენტარს ახლაც არ აკეთებენ. გუნდარევას პალატასთან ფეხმოუცვლელად დგანან მისი ახლობლები და მეგობრები. ექიმები გადაჭრით ვერაფერს ამბობენ.